№ 110. 12 ივნისი, ოცდა. 1866 –1883 12 ივნისი, ოცდა. № 110.

დროება

გამოდის ყოველ დღე ოთხშაბათს გარდა.

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. მუხრან-ბატონის სახლებში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა

მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა. 9 მ. | სამის თვისა. . . 3 მ.
ექვსის თვისა . . . 5 მ. | ერთის თვისა. . . 1 მ.

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით — ასოზე ერთი კაპეიკი. ასო-მთავრულით ასოზე ნახევარი კაპეიკი. ჩვეულებრივის ასოთი სტრიქონზე ექვსი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებას და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბ უნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს ერთი შაური

ბლდანელის & რენელის ჭიდაობა

მოხდება დღეს ექვსს საათზედ (6 საათ.) «იტალიის» ბაღში.

ტელეგრამები

(«ჩრდილოეთ ტელეგრაფის საგენტოსი».)

პეტერბურღი, 10 ივნისს. განსაკუთრებითი შრომისათვის, ზოგიერთ პირთ, რომელთაც მაცხოვრის ტაძრის აშენებაში მონაწილეობა მიიდეს, ებოძათ ორდენები; მათ შორის პირველს არხიტექტორს რიაზანოვს — ორდენი წმიდა ალექსანდრე ნეველისა.

8 ივნისს. ზოგიერთი იმპერატორის გვარეულობის წევრთა თანადასწრებით, ფერიცვალების პოლკის აფიცრებმა დაადეს ვერცხლის გვირგვინი პეტრე პირველის საფლავს.

რომი. საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის გრევისთვის პაპას მიუწერია წერილი, რომლითაც სამდურავს უთვლის საფრანგეთის მართებლობას იმ შეგიწროებისთვის, რომელიც მიაყენეს იქ ბერებს.

პარიზი. პალატამ დაამტკიცა პროექტი ციხის არტილერიის გამართვისა. ფერიმ მიიდო ჩინეთის ელჩი ცზენგი. მადაგასკარელებმა ითხოვეს ახალი აუდენცია, მაგრამ ჯერ პასუხი არ მიუღიათ.

ბრესლავლი. სილეზიაში საშინელი წყალ-დიდობაა. ბობერის ფელე ეხლა აღელვებულ ზღვასა ჰგავს. დიდი ალაგები წალეკა. ხალხიც ბევრი დაზარალდა.

თბილისი, 11 ივნისს.

რა უშლის ხელს სოფლის თვითმმართველობას? **რა** უშლის მოსამართლეებს რიგიანად გაასამართლონ სოფლის საქმეები და — მამასახლისს — სინიდისიერად აასრულოს მოსამართლეების გადაწყვეტილება. ამას წინად მოვიხსენეთ, — სოფლის თვით-მმართველობა ისეა მოწყობილი, რომ თუ სხვა-და-სხვა მიზეზები არ უშლიდენ, ჩვენის ხალხის წინ წაწევაში დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ყველგან და ყოველთვის ეს ხელის შემშლელი მიზეზები სასარგებლო საქმეს და დაწესებულებას წინ გადეღობება ხოლმე.

ჩვეულებრივ, თეორიაში გაწვრთნილები სოფლის სასამართლოს ცუდს გზაზედ დადგომას, მოქრთამეობას, მიფერებით მოქმედებას აბრალებენ გაუნათლებლობას, განუვითარებლობას. **ჩ**ვენც, რასაკვირველია, ვეთანხმებით ამ თეორეთიკოსებს და მათთან ერთად გეწამს, რომ ხალხი, რამდენიც წინ წავა, იმდენი უფრო მარჯვედ მოიხმარს ყოველსაფე წარმატების საშუალებას და სხვათა შორის თვით-მმართველობასაც; მაგრამ არის ერთი ხელის-შემშლელი მიზეზი, რომელიც თეორეთიკოსებს ავიწყდებათ და რომელიც აშკარად იჩენს თავს თითქმის ყოველს სოფელში. **ა**მ მიზეზზედ ჩვენ წარსულ კვირას გაკვრით ვუჩვენეთ, როდესაც წარმოვსთქვით, რომ «მამასახლისი სოფლის მორჩილი უნდა იყოს და არა სამაზრო პოლიციის სათამაშო და აგენტი».

დიაღაც ასე უნდა იყოს, მაგრამ არის თუ არა ასე, ამას გვიმტკიცებს, სხვათაშორის, დღევანდელს ნომერში დაბეჭდილი კორესპონდენცია. **ს**ოფელს **ა**კაბეთს რვა წელიწადი ჰყვლეფდა ერთი გასალახანებული მამასახლისი. **ს**ოფელი მოთმინებასა ჰკარგავს, სცვლის მას და მამასახლისად აყენებს ხვნა-თესვაში გართულს წმინდა სოფელს კაცს, რომელსაც უწინდელის მამასახლისის ოდენი «ოინები» არ შეუძლიან. **ბ**აუმაძღარ მოხელეობას არ მოსწონს ეს ამბავი. **მ**ას აკლდება შემწვარი ვარიები, ბატკნის მწვადები, ციე-ციები ახლად მოხდილ ქვევრიდამ ამოღებული ღვინო და იმდენსა იქს, რომ შარებს უკრებს, გამოსცვლის იმის თვალებში «დუდუღა» მამასახლისს და მამასახლისად აყენებს უწინდელსავით გამჭრიახს, ენა და ხელ-გამომავალს, უფროსის მაამებელს, უმცროსის მეხსა.

რა ჰქნას სოფელმა ამ შემთხვევაში, როგორ გაუბედოს წინააღმდეგობა იმისთანა პირს, რომლის ხელშიაც არის მთელის სოფლის ბედი და უბედობა; თუ იჩივლოს, სად იჩივლოს და ვისთან იჩივლოს? **ჩ**იეილსაც გზა და კვალის ცოდნა უნდა და გზაკვალს გარდა აუარებელი დრო. **ბ**ლეხკაცობაც შერიგებია თავის ბედს და ვისზედაც უფროსი მიუთითებს, ის უნდა ამოირჩიოს. **ს**ოფილა მართალია ბევრი მაგალითი, რომ სოფლის ყრილობას არ გაეგონოს უფროსის სიტყვა და იმისთანა კაცი ამოერჩიოს, რომელიც მისის აზრით სოფელს სარგებლობას მოუტანს, მაგრამ ამისთანა კაცი დიდ-ხანს ვერ იბოგინებს თვითმმართველობის ასპარეზზედ, თუ ის ან პოლიციის ბოქაულს არ მოეწონა.

«დროების» ფელეტონი 12 ივნისი.

სიმღერა

ჰე ყანავ, ჩემო ყანაო!
მგმობ და მემდური განაო,
ეგრე პირქუშად რო მიცქერ
შენს ტრფიალს განდაგანაო.

ყანავ, შენ, ჩემო ყანაო!
ანუ რამ აგამწვანაო,
ანუ რამ ეგრე დაგაჭკნო,
ფოლორცსა დაგამგვანაო!

ყანაო, ჩემო ყანაო!
სისხლს ოფლს გაღვრიდი განაო!...
მესვეურების ქიშპობა
შენ ჭირად დაგენანაო!...

ყანაო, ჩემო ყანაო,
თავს გევლებოდი განაო,
მეველემ კარნი ჩამოგხსნა,
მხეცები შემოგზავნაო!

ყანაო, ჩემო ყანაო,
მან დაგაღონა განაო,
რომ ყვავ-ყორანი გესევა,
სრულდება ბევრი ხანაო!

ყანაო, ჩემო ყანაო,
ათასჯერ ათასგანაო
სეტყვა-ნიაღვარს გაუძელ,
დღეს გოლვამ სად გაგტანაო!

ყანაო, ჩემო ყანაო,
ვგრძნობ გულის გწადს მოფხანაო,
მაგ იარაზედ სალბუნი,
ქეთრისა გადაბანაო.

ყანაო, ჩემო ყანაო,
ბამილიმილებ განაო,
რომ დაგიბრუნდეს ლაზათი
ნატრულსა ამდენ ხანაო!

ყანაო, ჩემო ყანაო,
მკერდს გადამიშლი განაო,
დღეს სხვა მივიან მუშები,
ერთგულნი ჩემისთანაო!

ყანაო, ჩემო ყანაო,
იხარე იმათთანაო,
სხვა მოსდევს რაზმი და რაზმი:
ჯერ ხელთ აქვთ ანაბანაო.

ყანაო, ჩემო ყანაო,
ხომ გახსოვს ოდითგანაო
«ბეოოგოს» *) გივის მეურმედ:
შეგამკობს თანისთანაო.

ყანაო, ჩემო ყანაო,
ბაბინდები, განაო,
ბიჟმაჟი შენი ქართველი
თუ გაჰკრა-გაექანაო!

ყანაო, ჩემო ყანაო,
დრო-ჟამმა ესა ბრძანაო:
მსუნაგებს უნდა დაბრეკა....
ეს არის გამოცანაო.

ყანაო, ჩემო ყანაო,
შინ, გარეთ, ყოველგანაო,
მეც მათმა ცქერამ დამადნო,
ამდენი მაქაქანაო!

X—X.

---

*) მიწის მუშას ნიშნავს. — ქართველების სახელი».

საკვირაო მასლაათი.

კისრული.

ავს ნუ იქ და ავისა ნუ გეშინიანო, ნათქვამია. ჯერ, შეწევნითა ღვთისათა, ავი არაფერი ჩამიდენია და დიდი სურვილიცა მაქვს შეუმწიკვლელად განვლო ეკლიანი გზა ცხოვრებისა. მაშასადამე არც სასამართლო, ანუ უკედ ვსთქვათ, „სუდი“ მაშინებს და არც მისი შეუწყნარებელი პროკურორი, რომელსაც ციმბირი, ციხე, ბორკილი და სახრჩობელა მუდამ პირზედ აკრავს. **ა**რ მეშინიან-მეთქი, მოგახსენებთ, იმიტომ კი არა, რომ რაღაც ხეპრულის გულადობით ყველას ეუმკლავდებოდე და თავზედ მამალს ყვავს არ ვისვამდე; იმიტომ, ბატონებო, რომ ჯერ ერთი საპროკურორო არა დამიშავებია-რა და მეორეც იმიტომ, რომ ჩვენ თითონ მსაჯულები გახლავართ და ჩვენს იურისდიქციას არა ჰსაზღვრავს რომელიმე **actor sequitur forum rei**, ან **forum delicti commissi** და არც სხვა მრავალი ფორმები, რომელნიც **რ**ომის იურისტებს ჩინოვნიკი იურისტების სატანჯავად მოუგონიათ. **ჩ**ვენი ტრიბუნა გაზეთი გახლავთ და სადამდინაც კი თვალი და გონება მიგვიწვდება, ყოველ სულიერ და უსულო საგანზედ ჩვენს უკანასკნელს **verdict**-ს (განაჩენს) გულ ღიად და პირდაუფერებლივ წარმოვსთქვამთ ხოლმე. **მ**ართალია, ჩვენ არც ციხეში ჩასმის, არც **ციმბირ**ში გაგზავნის უფლება არა გვაქვს, მაგრამ, ვისაც სასჯელად მარტო ცოდვილის ხორცის ტკივილი და პატივის მოკლება არ მიაჩნია, იმისთვის ჩვენი სასჯელი უფრო მძიმე უნდა იყოს. **ა**რ ვიცი, რომელს არჩევთ: რამდენიმე თვე ციხის კედლები ჭლესოთ, თუ საქვეყნოდ, სადამდინაც კი ბეჭედითი სიტყვა მიაღწევს, სასირცხო ბოძზედ მიკრული, წვერ-ულვაშ დუჟით გათეთრებული და თავსლაფ დასხმული იდგეთ.

არგად გვესმის ჩვენგან განწესებული სასჯელის სიმძიმე და მინამ ვისსამე ნამდვილ დანაშაულობაში არ დავრწმუნდებით, ყოველს ღონის-ძიებასა ვხმაროობთ ცუდ-უბრალოდ არავინ მოექცეს კალმის წვერ ქვეშ...

***

დიაღ, იმას მოგახსენებდით, რომ არც ბრალდებულთა სკამისა, არც პროკურორის მგვრგვინავის სიტყვისა არ გეშინიან-მეთქი, მაგრამ, — დასცეს ჩემმა **ლ**ომისამ თავისი რახტილახვარი! **მ**აინც წუხელ სიზმარში ბრალდებულთ სკამზედ, გულგაქვავებულ **ს**ოლომონების წინაშე ვიჯექი და შეუბრალებელი პროკურორი

«დროების» ფელეტონი 12 ივნისი.

სიმღერა

ჰე ყანავ, ჩემო ყანაო!
მგმობ და მემდური განაო,
ეგრე პირქუშად რო მიცქერ
შენს ტრფიალს განდაგანაო.

ყანავ, შენ, ჩემო ყანაო!
ანუ რამ აგამწვანაო,
ანუ რამ ეგრე დაგაჭკნო,
ფოლორცსა დაგამგვანაო!

ყანაო, ჩემო ყანაო!
სისხლს ოფლს გაღვრიდი განაო!...
მესვეურების ქიშპობა
შენ ჭირად დაგენანაო!...

ყანაო, ჩემო ყანაო,
თავს გევლებოდი განაო,
მეველემ კარნი ჩამოგხსნა,
მხეცები შემოგზავნაო!

ყანაო, ჩემო ყანაო,
მან დაგაღონა განაო,
რომ ყვავ-ყორანი გესევა,
სრულდება ბევრი ხანაო!

ყანაო, ჩემო ყანაო,
ათასჯერ ათასგანაო
სეტყვა-ნიაღვარს გაუძელ,
დღეს გოლვამ სად გაგტანაო!

ყანაო, ჩემო ყანაო,
ვგრძნობ გულის გწადს მოფხანაო,
მაგ იარაზედ სალბუნი,
ქეთრისა გადაბანაო.

ყანაო, ჩემო ყანაო,
ბამილიმილებ განაო,
რომ დაგიბრუნდეს ლაზათი
ნატრულსა ამდენ ხანაო!

ყანაო, ჩემო ყანაო,
მკერდს გადამიშლი განაო,
დღეს სხვა მივიან მუშები,
ერთგულნი ჩემისთანაო!

ყანაო, ჩემო ყანაო,
იხარე იმათთანაო,
სხვა მოსდევს რაზმი და რაზმი:
ჯერ ხელთ აქვთ ანაბანაო.

ყანაო, ჩემო ყანაო,
ხომ გახსოვს ოდითგანაო
«ბეოოგოს» *) გივის მეურმედ:
შეგამკობს თანისთანაო.

ყანაო, ჩემო ყანაო,
ბაბინდები, განაო,
ბიჟმაჟი შენი ქართველი
თუ გაჰკრა-გაექანაო!

ყანაო, ჩემო ყანაო,
დრო-ჟამმა ესა ბრძანაო:
მსუნაგებს უნდა დაბრეკა....
ეს არის გამოცანაო.

ყანაო, ჩემო ყანაო,
შინ, გარეთ, ყოველგანაო,
მეც მათმა ცქერამ დამადნო,
ამდენი მაქაქანაო!

X—X.

საკვირაო მასლაათი.

კისრული.

ავს ნუ იქ და ავისა ნუ გეშინიანო, ნათქვამია. ჯერ, შეწევნითა ღვთისათა, ავი არაფერი ჩამიდენია და დიდი სურვილიცა მაქვს შეუმწიკვლელად განვლო ეკლიანი გზა ცხოვრებისა. მაშასადამე არც სასამართლო, ანუ უკედ ვსთქვათ, „სუდი“ მაშინებს და არც მისი შეუწყნარებელი პროკურორი, რომელსაც ციმბირი, ციხე, ბორკილი და სახრჩობელა მუდამ პირზედ აკრავს. **ა**რ მეშინიან-მეთქი, მოგახსენებთ, იმიტომ კი არა, რომ რაღაც ხეპრულის გულადობით ყველას ეუმკლავდებოდე და თავზედ მამალს ყვავს არ ვისვამდე; იმიტომ, ბატონებო, რომ ჯერ ერთი საპროკურორო არა დამიშავებია-რა და მეორეც იმიტომ, რომ ჩვენ თითონ მსაჯულები გახლავართ და ჩვენს იურისდიქციას არა ჰსაზღვრავს რომელიმე **actor sequitur forum rei**, ან **forum delicti commissi** და არც სხვა მრავალი ფორმები, რომელნიც **რ**ომის იურისტებს ჩინოვნიკი იურისტების სატანჯავად მოუგონიათ. **ჩ**ვენი ტრიბუნა გაზეთი გახლავთ და სადამდინაც კი თვალი და გონება მიგვიწვდება, ყოველ სულიერ და უსულო საგანზედ ჩვენს უკანასკნელს **verdict**-ს (განაჩენს) გულ ღიად და პირდაუფერებლივ წარმოვსთქვამთ ხოლმე. **მ**ართალია, ჩვენ არც ციხეში ჩასმის, არც **ციმბირ**ში გაგზავნის უფლება არა გვაქვს, მაგრამ, ვისაც სასჯელად მარტო ცოდვილის ხორცის ტკივილი და პატივის მოკლება არ მიაჩნია, იმისთვის ჩვენი სასჯელი უფრო მძიმე უნდა იყოს. **ა**რ ვიცი, რომელს არჩევთ: რამდენიმე თვე ციხის კედლები ჭლესოთ, თუ საქვეყნოდ, სადამდინაც კი ბეჭედითი სიტყვა მიაღწევს, სასირცხო ბოძზედ მიკრული, წვერ-ულვაშ დუჟით გათეთრებული და თავსლაფ დასხმული იდგეთ.

არგად გვესმის ჩვენგან განწესებული სასჯელის სიმძიმე და მინამ ვისსამე ნამდვილ დანაშაულობაში არ დავრწმუნდებით, ყოველს ღონის-ძიებასა ვხმაროობთ ცუდ-უბრალოდ არავინ მოექცეს კალმის წვერ ქვეშ...

***

დიაღ, იმას მოგახსენებდით, რომ არც ბრალდებულთა სკამისა, არც პროკურორის მგვრგვინავის სიტყვისა არ გეშინიან-მეთქი, მაგრამ, — დასცეს ჩემმა **ლ**ომისამ თავისი რახტილახვარი! **მ**აინც წუხელ სიზმარში ბრალდებულთ სკამზედ, გულგაქვავებულ **ს**ოლომონების წინაშე ვიჯექი და შეუბრალებელი პროკურორი

ნა, ან სოფლის მწერალს არ ასიამოვნა.

მოდით და ამ გვარ მდგომარეობაში დაამკვიდრეთ თვით-მმართველობა. რას გახდება თვით-მმართველობა იმისთანა ხალხში, რომელსაც ცალკე უმეცრება ღრღნის და ცალკე წვრილის უფროსების თვალ-წარბშიაც კი ყურება უნდება. არა, თვით-მართველობა იმ დრომდის არ მოიტანს არავითარ სარგებლობას, ვიდრე მართლა და თვითონ სოფელს არ ექნება მინდობილი მოხელეების არჩევა და გამოცვლის უფლება იმ შემთხვევაში, თუ უკანონობა დაეტყო რამ მათს მოქმედებას.

კაკაბეთის ისტორია ნამდვილი სურათია დამამტკიცებელი ჩვენის აზრისა, მაგრამ რამდენი ერთი მამასახლისია ჩვენს ქვეყანაში უფროსთაგან არა-ღირსეულად მიჩნეული, რამდენი ერთი ღირსეული ნამამასახლისარია — უსამართლოდ დათხოვნილი, რამდენი ერთი კაკაბეთია ჩვენს კურთხეულ საქართველოში!

ახალი ამბები.

≈ პროვინციიდამ გვწერენ: სადაც მიიხედავ შიმშილი და შიმშილი.—არავინ მოსწრებია ამისთანა გაჭირებას. ძნელად შეხვდებით ისეთს გლეხს, რომელიც იტყვის პური არ მაკლიაო.

ამ გარემოებით ისარგებლეს სურამის სომხებმა და ურიებმა და რაც შეუძლიანთ მარჯვედ უჭერენ კლანჭებს ისეც გაჭირებულს და შეწუხებულ ხალხს: კოდზე ორ კოდს იღებენ და კიდევაც მეტს ერთად-ერთმა თავადმა, სოსიკო ვეზიროვმა გამოიჩინა კაცთ-მოყვარეობა და გახსნა პურის მაღაზია, გლეხები დატკბნენ და სულ დაიტაცეს, ზოგმა უსარგებლოდ, ზოგმა მცირე სარგებლით და იმითი დაამღეს დამშეული ცოლ-შვილი. სწორედ რომ ღირსია თ. სოსიკო ვეზიროვი თანაგრძნობისა და პატივისცემისა ამისთანა მოქმედებისათვის.

≈ შორაპნის მაზრიდამ, სოფ. კლდეეთიდამ გვწერენ, რომ თუმცა ეს ათი წელიწადია, რაც გლეხებმა ჯ—ებმა მებატონე ჩ—მეებისაგან მამული იყიდეს, მაგრამ ჯერაც კანონიერად არ ჩაუბარებიათ. მებატონეები ამით სარგებლობენ და მოსვენებას არ აძლევენ გლეხებსაო. ამას წინად შესყიდული მამული მოუხვნეს სახლის გარშემო გლეხებს და არც ერთს შინაურ პირუტყვს, ან ფრინველს ზედ არ აწაწანებენო. ივნისის ექვსს ჩ—მეები დაერივნენ გლეხებს, დაუქციეს ღობეები და ერთს მათგანს თოფიც ესროლა გლეხებისათვის. გლეხებს ჯერ მაზრის უფროსთან უჩივლიათ, მაგრამ სეკრეტრად მაზრის სამმართველოში ჩ—მიანთ ჯიშისა არის და არაფერი გამოვიდა საჩივრიდამაო. მასუკან გლეხებს სასამართლოში უჩივლიათ და სეკტემბრისათვის საქმე დანიშნულიო. სეკტემბერში მაინც ეგება ეღირსოთ გლეხებს სამართალი, მაგრამ სეკტემბრამდის ან გლეხების საქონელს მოვნა არ უნდა, ან წვრილფეხს—გენვა და ყარაულად დამდგარი ჩ—მეები ან ერთს რად გამოუშვებენ გზის გარედ, ან მეორეს!

≈ რაც ბათუმისკენ რკინის გზა გაიხსნა, ფოთს თურმე ქალაქის ფერი აღარა სმევს და ყოველ დღე უკან-უკან მიდის. «ოდესის ფურცლის» სიტყვით რუსეთის ნაოსნობისა და მრეწველობის საზოგადოების დირექტორი ჩიხაჩევი მალე ბათუმში აპირებს მოსვლას, რომ ამ საზოგადოების საქმეები სულ ერთიანად ფოთიდამ ბათუმში გადმოიტანოს და ამ ქალაქიდამვე ჰგზავნოს საქონელი კავკასიაში. ქოტე კიდევ ერთი მეხი ფოთისათვის, მაგრამ იმისთანა მეხი, რომელიც დღე-დღეზედ მოსალოდნელი იყო.

≈ 3-ს ივნისიდამ თბილისის საზოგადო ბიბლიოთეკა დახურული იქნება მის სადგომის გადაკეთების გამო. დღე ბიბლიოთეკის გახსნისა გამოცხადდება.

≈ კავკასიის აქეთა მხრის რკინის გზების საზოგადოება აპირებს თურმე სურამის ქედის ქვეშ ტონელის გაყვანას, რადგან არც გზის გაწმენდამ, არც მისმა გაგანიერებამ, არც წვრილის სტანციების დაკეთებამ ვერა უშველა-რა და ამ ქედზედ მატარებლის გადატანა დღესაც კი ძალიან სამძიმოა. თუ ტონელის პროექტი სამინისტრომ მოიწონა, მალე შეუდგებიან თურმე მის გაყვანას.

≈ ბაქოში გახსნილა ზავოდი, რომელზედაც შეკუმშულს (твердый) კაროსინს ამზადებენ.

≈ გაზეთები ამბობენ, რომ მალე პეტერბურგში შესდგება ყრილობა ცხენის-რკინის გზის წარმომადგენელთა სხვა-და-სხვა ქალაქებიდამ იმ აზრით, რომ მოიგონოს ღონის-ძიება-ამ გზით მოსიარულეთ უბედურება არა ემართებოდეთო. არ იქნება ურიგო ჩვენის ცხენ-რკინის გზის წარმომადგენელიც დაესწროს ამ ყრილობაზედ, რადგან მას უეჭველად თავმჯდომარეობას მისცემენ. მართლაც ასე ცოტას ხანში ისეთი კაჟკაცობა არავის გამოუჩენია კაცების ხოცვასა და დასახიჩრებაში, როგორც გამოიჩინა ჩვენმა ცხენ-რკინის გზამ.

≈ გაზეთს შრომასა სწერენ რაჭიდამ, აქ ისეთი სიმშილობაა, რომ ქალები მინდორში ჰკრეფენ სხვა-და-სხვა ბალახს და იმითი იკვებმენ თავსაო. თუ რამე ორი ფარა გააჩნდათ, სიმინდის სასყიდლად დახარჯეს და ისიც შემოეხარჯათო. ამას გარდა ხალხი ავადმყოფობით იხოცება და ექიმი არ გვეღირსაო.

≈ გაზეთი «Новости» ამბობს, რომ რუსული თეატრალური დასი ანდრეევ-ბურლაკის ხელმძღვანელობის ქვეშ მალე კავკასიაში მიდის და იქ აპირებს წარმოდგენების გამართვასაო.

≈ თბილისში მოვიდა რუსული თეატრის დასი, რომელთ რიცხვში ურევიან გამოჩენილი არტისტები: ფედოტოვისა, ერმოლოვისა, პრავდინი და სხვ. პირველი წარმოდგენა ამ დასს საზაფხულო თეატრში აქვს სამშაბათს, 14-ს ივნისს.

ჩემს საბრალო თავზედ ცის ჩამოქცევასა სთხოვდა დიდებულს იუპიტერსა. თურმე ნუ იტყვით, ბ. ი. ფხაკაძეს ეჩივლა ჩვენთვის დიფამაციაზედ და ამას გარდა ცალკე საჩივარი შეეტანა, რომელშიაც შემდეგსა სთხოვდა: «რადგანაც «დროების» წერილებმა ნდობა დამიკარგეს და ჩემი ფულის გასასესხებელი კანტორა ძლიერ აზარალეს, რომელიც, როგორც მაჩვენა ჩემმა დახლიდარმა და კანტორის აქციონერმა, ბ. ბაფრინდაშვილმა (ახი გააფრენი კი უნდა იყოს ეს ბაფრინდაშვილი, მე და ჩემმა ღმერთმა!) დამიმტკიცა, ხუთას თუმნამდე მიაღწევს, ამისთვის გთხოვთ ეს ამოდენა ჩემი ზარალიც „დროების“ რედაქციის კისრიდამ ამოიღოთ» და სხვ...

თითონ ბ. ფხაკაძე, როგორც სამოქალაქო მოჩივარი (гражданскій истецъ)*) ადვოკატების ალაგას იჯდა „პირ-მცინარი, საჩინარი“ და პროკურორის სიტყვებს, როგორც მწყერი ფეტვის მარცვლებს, ისე ჰკენკავდა. პროკურორმაც გაათავა თავისი ქექა-ქუჩილის მსგავსი სიტყვა და ნელა დაეშვა სავარძელში. ფხაკაძემ თავი ველარ შეიმაგრა და ღრიალს მოჰყვა: ურა! ბრავო!.. და, ასე გასინჯეთ, ბისსაც კი ყვიროდა. თავმჯდომარემ ზარს ხელი მოავლო და ზრდილობიან კილოთი შენიშვნა მისცა მოჩივარს, რომ ბზიკ-შემძვრალი დეკეულივით ფუნდრუკობა აღარ დაეწყო მეორედ.

— მოჩივარო, სიტყვა თქვენია! უთხრა თავმჯდომარემ ბ. ფხაკაძეს.

ფხაკაძე ფეხზედ აბძანდა, თავ-მოწონებით გადაავლო სასამართლოს დარბაზს თვალი და დაიწყო: მსაჯულნო, თქვენ უეჭველად უნდა იცოდეთ, რომ მე ვარ (გესმით, ბატონებო, მნიშვნელობა ლოღიკურის ხმის ასამაღლებელისა?), დიაღ, მე ვარ კაცი ყოვლად მეცნიერი, მაგისტრი საბერო აკადემიისა, რომელსაც ზედმიწევნით შეუსწავლია: გომილეტიკა, ლიტურგიკა, პატრისტიკა და სხვა კიდევ მრავალი ტიკა, ტიკა, მაგრამ მივაქცევ განსაკუთრებულ თქვენს ყურადღებას მაზედ, რომ მე შემისწავლია ფილოსოფია, ფსიხოლოგია და ლოგიკა. მე რომ ჩემი ფილოსოფია და ფსიხოლოგია თავზედ დაგაბერტყოთ, მეშინიან, ვაი თუ თქვენც და «დროების» რედაქციაც ნაცრად გაქციოთ და რამდენიმე კაცის ცოდოში ჩავდგე. ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებ და გთხოვთ მხოლოდ ჩემი ხუთ-ასი თუმანი გადაახდევინოთ რედაქციას. ფული მამე და სანჯეზედ გადამაგდეო! აი როგორ უნდა შეიცვალოს ის ერთი ქართული ანდაზა.

ორატორმა გაათავა და ტაშის მაგიერ, რომელსაც მოელოდა, პუბლიკიდამ მოისმა: შშშშ!

მოდგა რიგი ახლა ჩემზედ. მე იქიდამ დავიწყე, რომ ფხაკაძის ამ საქმიდამ გაყენება მოვითხოვე, რადგანაც მეთქი, მოვახსენე მდივნებს, თქვენ წინა სდგას იაკოვ ხუხუნიჩ ფხაკოვი და არა იაკობ ფხაკაძე-მეთქი, მაგრამ ვერ მოხერხდა, რადგანაც ბ. ფხაკაძე ტყუპი გამოდგა.

***

მაშ ნება მიბოძეთ, ბატონებო, დავიწყე მე ჩემი სიტყვა, მღვდლის ღამბაშიძის მშვენიერი სიტყვები მოგაგონოთ. ეს სიტყვები ამოვგლიჯე იმ წერილიდამ, რომელიც «დროების» იმავე ნომერში იყო დაბეჭდილი ბ. ფხაკაძის შესანიშნავის წერილის მეზობლად. „მდაბალის სულის კაცად მიმაჩნია ის კაცი, ამბობს მამა ღამბაშიძე, რომელსაც ეძლევა საშუალება გაზეთითვე გასცეს პასუხი თავის მოწინააღმდეგეს, მაგრამ მაინც სასამართლოში გარბის საჩივრად“. (ფხაკაძე წამოხტება)—ბატონებო, აქვე ხელ-მეორედ შეურაცხყოფას მაყენებს. მე ამას ვერ მოვითმენ!..

— მოთმინებითა თქვენითა აცხონეთ სული თქვენი! ცივად გადმოუგდო თავმჯდომარემ.

შეიძლება გვიპასუხოთ: მართალია ფხაკაძეს საშუალება მიეცით გაზეთით თავი გაემართლებინა, მაგრამ ისეთი შენიშვნებით დაუბეჭდეთ, რომ პირველზედ უარესი შეურაცხყოფა მიაყენეთო, მაგრამ ჩვენ არაფერი თავაზიანობა გვემართა მაშინ, როდესაც თითონ ავტორი იმ სამაგალითო წერილს ამ სიტყვებით იწყობს: „სწორედ ნამდვილის სიცრუის, დედაბრული ჭორის და უადგილო ლანძღვა-გინების საუცხოვო ნიმუშია ეს საყურადღებო წერილი!“ მართალია, ყველა კაცი ვალდებულია ხელი დაუჭიროს როდესაც ჰხედავს, რომ იმისივე მსგავსი თავის ხელით თავ-პირში იშენს და ორ-ტოტად სისხლს იდენს, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი, თუმცა 21 წელიწადს გადასცილებია და სამოქალაქო ასაკი შესრულებია, მაგრამ ბუნებას სულ უბრალო რამე დაუკლია მისთვის, ე. ი. ჭკუა და თავისი სიცოცხლე სულ აპეკუნის ხელში უნდა დალიოს. მოჩივარზედაც, რომ ესე ვიფიქროთ, დიდი შეურაცხყოფა იქნება მისთვის. პირიქით, ფხაკაძე არის მეცნიერების უთვალავ ნაწილების მცოდნე, (თუმცა—ჩვენში კი დარჩეს, რაც ფხაკაძემ იცის, მარტო ლავრებში მიაჩნიათ მეცნიერებად) არითმეტიკულს მეცნიერებაში ისე განვითარებული, რომ მარტივი გნებავთ, თუ რთული პროცენტები, სულ თითებზედ გიანგარიშებთო. ერთის სიტყვით, ფხაკაძე არის არამც თუ правоспособный, არამედ дѣеспособный-ც, რომელიც თავისუფლად სესხულობს, ასესხებს, ყიდულობს, ჰყიდის, ჩარჩობს, და ლაღობს და მედუქან-მეზაზარობს. ბ. ფხაკაძეს ჰსურს თავის წერილით დაამტკიცოს, რომ ბანკში თავისი საკუთარი ფული შეჰქონდა და არა საზოგადოებისა, მაგრამ მათხოვეთ პატარა ყურადღება და მოისმინეთ მაგისი საბუთები. «მხოლოდ მე არ მომისპია საკუთარი ჩემი, ან ნასესხი ფულების (ჰმ! ჰმ!.) ბანკში შეტანა... მე ფულები, ცოტა ქვეით ბრძანებს ფხაკაძე, ჩემი საჭიროებისთვის სამ კერძო პირთაგან ვექსილით (?!) ვისესხე და ჯიბეში გდებას ბანკში შევიტანეო»!! თუ ეს მართალია, მოჩივარი საპეკუნო ყოფილა, თორემ, ერთი მიბრძანეთ, რომელი ჭკვიანი კაცი—მერე ამ ფულის სიძვირეში—ისესხებს ვექსილით ფულსა და ბანკ-

*) ჩვენის ფიქრით, гражданскій истецъ-ს მოჩივარია მაგიერ, უფრო ზედმიწევნით გამოხატავდა «სამოქალაქო მეძებარი», მაგრამ ცოტა შიში გვაქვს სიზმარი არ გაგვიცხადდეს და ამიტომ შემდეგისთვის გადავდებთ.

«დროების» კორესპონდენცია.

—

ს. კაკაბეთი. (სიღნაღის მაზრა) მე ვითხოვ ამ სოფელს, რათა ვაამბობინო საცოდავი და ყურაღების ღირსი მოთხრობა, რომელშიაც, როგორც მაგიკურ აბურთულ სარკეში, მგონი, დაიხატოს ბევრი სხვა სოფლების ბედუბედობაც.

ეს სოფელი თავისის, ეშმაკისათვისაც კი კისერ სამტვრევ გზით, და ქალაქიდან სიშორით, ხამ გორებას დაბეჯითებით ეუბნება, რომ ჯერ აქ მეფე ირაკლის სიკვდილიც კი არ უნდა გაჰგებოდეთო, მაგრამ, საუბედურად, საკმაოდ იცნობენ ყველა აწინდელ დროის დაუპატიჟებელ სტუმრებს: ხროს ყლაპიებისას, მედუქნებისას, სალახანა სოფლის მწერლებისას, გაქნილ ნამოხელრებისას—უკანონო გავლენას პრისტავისას და ჩაფრებისას...

სოფელი დიდი არ არის, 307 კომლია კამერალიურის აღწერით, მაგრამ დუქნები კი არსებობდენ თავიანთ განუშორებელ არყის ბოთლებით, საპნით. საქალამნებით და ორიოდე სპიჩკის კარობკებით და ეს უკანასკნელნი იზიდავდენ გლეხს, ისე როგორც თაგვს მახეში დამწვარი კაკლის ნიგოზი. ქათათვეში ეს დუქნები გადიქცეოდა ხოლმე პურის მაღაზიებად, რომელთ კარებზედ განუწყვეტლივ კუდა-ვირებს მიჰქონდათ თუ პური, თუ ქერი—შემოდგომაზე კიდევ იგივე ვირები მაჭრით დასაპალნულნი მიროონინებდენ. ბაჭირება ადებდა ამ გვარ გადასახადს მედუქნეებისას აქაურ გლეხს თუ რა? იკითხავს მკითხველი. სულაც არა—ყოველ ცისმარე დღეს დუქნის კარმიდამო იყო ბინად ყოველ გვარ ამ სოფლის მოხელისა: მწერლისა, მოსამართლეებისა, მამასახლისისა, ტყის მცველებისა, გზირებისა და სხვა. ყოველი გამველელ-გამომვლელი მოვალეობად ჰრაცხდა ამათთვის არაყი მიერთმია—ესენიც ყველაფერს «ჩალევით» არიგებდენ—ჯიბრიც ასმენედათ გლეხებს არაყს: აი ერთმა ერთი ტრიცეტკა ჩამოასხმევინა და იქ მდგომ მეზობლებს თითო ჭიქა მი-თავაზა, მაშინ ყველა ჭიქის დამლეი ვალდებულად ჰხდიდა თავის თავს თითო ტრიცატკა ჩამოესხმევინათ—ისე რომ შექეიფიანებულნი ჩმირად სალამობდის «არხალალოს» გასძახდენ და არამც თუ შინა საქმეს სცდებოდენ, საკათათვოდ რამდენიმე კოდს ქერს მანეთობაზე და პურს მანეთ-ნახევრობაზე სწერდენ მედუქნის დავთარში. არ იყო გლეხი, რომ ათი კოდი სულადი არ მიეცა მედუქნისთვის ქათათვეში. ეს როგორც გინდა ჩაგდეთ, ორ საკომლოს ტელას გასჭრის!.. მაგრამ პატრონი არავინ ჰყავდათ—იყო მაშინ მამასახლისად ერთი სომეხი, რომელიც ცრიად გავრცელებულ ყალიბის კაცს წარმოადგენს ქიზიყში. პირველად რომ ამოირჩიეს—ერთი პირ-ღია რამ იყო, მაგრამ მალე მიჰხვდა მღვრიე წყალში თევზის დაჭერას და რვა წელიქადი ჰჭამა სოფელი. ეს წარბებზედაც კი ტყობულობდა უფროსის წადილს და უმასპინძლდებოდა, ან სტუმრად რო ეწვეოდენ სოფელში, ან გზად გავლის დროს—უფროსი მოვიდოდა ამ სოფელში, ძროხა დაკლული გახლდათ—პოქაული—ცხვარი მზად იყო, ჩაფრები—თხა და ბატკანი. სტანციაზე (რომელიც ახლოა სოფელზე) გაიგებდა, რომ გაელით ვინმე მეუფროსეაო და იქ ჩავიდოდა ულუფათი—ერთის სიტყვით მალე ყველა იცნობდა ქაკაბეთის მამასახლისს რ—შვილს გულუხეობით; აგრეთვე მასპინძლობის ხმა დაუვარდა საწყალ ქაკაბეთსაც. რასაკვირველია უმადურობას ამ გვარ მოხელეზე ხალხი ვერ გაჰბედამდა და ესეც დღე-ღამე იმას ზრუნავდა, რომ სოფლის ქონით მათთვისვე ამოეწოთ თვალები და თითონაც გაემსო ჯიბე—ბოლოს «გაჩინონიკებაც» მოინდომა. ერთ მშვენიერ დღეს დააწყებინა ხელის მოწერა სოფელს იმაზე, რომ რადგან ჩვენს სოფელს ასე კარგა უველის ეს ჩვენი მამასახლისი, ეს რვა წელიაო, იმიტომ გააზატეთ და ჩინიც მიეცითო. ეს კი ველარ მოუთმინეს, გლეხებმა აიღეს და ზედ თავზე დაეფხრიწეს ის ქალალდი და ბოლოს მამასახლისობიდანაც გაგდეს—მაგრამ რა, არამც თუ ს. ქაკაბეთი, გარშემო სოფლებიც კი ნახევარზე მისი მოვალენი გახდენ—ზვრები შეისყიდა—თავადების ტყეების მონაწილეობა—ასე ხვეჭა სოფელი!!. მამასახლისად ხალხმა თავისი მოძმე გუთნიდედა და მხვნელ-მთესველი ოჯახიშვილი ამოირჩია. რასაკვირველია, ამან ჯერ არ იცოდა თევზისჭერა, სულაც არ ეხერხებოდა მოძმეების ყველეფა და მეუფროსეების ხლდათ, გადმოღებული პირი იმ თხოვნისა, რომელიც ბ. ფხაკაძეს შეუტანია სინოდის კანტორაში, აი რა სწერია იმაში: «რადგანაც ბაბაშვილის გორაზედ გამსესხებელი კასები გამრავლდა და განათლებამ იკლო, საჭიროა დავარდნილი განათლება განათებით მაინც შევავსოთ. ამისათვის ვთხოვ სინოდის კანტორას წმინდა სანთლის ქარხანა მე ჩამაბაროს».

ხომ განსაცდელს გადავრჩი, მაგრამ როდესაც გამეღვიძა, გული მოუწყდა-ეს სიზმარი სად იყო მეთქი.

***

ესლა ნება მიბოძეთ, მკითხველო, ერთს სასამართლოს დარბაზში შევიდეთ, სადაც, სიზმარში კი არა, ნამდვილად ერთი საინტერესო საქმე ირჩევა. ყველაფრის აღწერას, რაც დარბაზში დაგეხვდება, თავი დავანებოთ, რადგანაც ეს შორს წაგვიყვანს და პირ-და-პირ ბრალდებულთ სკამზედ სხედან სამი ახალგაზდა ქართველი, რომელთაც საშინელი დანაშაულობა ჰბრალდებათ: ბათუმის ახალის დროის ათაბეგის ღამე თავს დაცემა მოკვლისა და გაცარცვის განზრახვით. სამს დამნაშავეში ერთი თათუხის მარცვალივით ერჩევა, როგორც შეხედულობით, ისე თვისა კეთილშობილურის მიხვრა-მოხვრით. ყველაფერი ამტკიცებს, რომ ეს ყმაწვილი არის ერთი ნორჩი შტოთაგანი მრავალ ტოტებიან საქართველოს არისტოკრატიის ხისა. ვაი შერცხვენავ, ვაი ქუდის მოხდავ! ქეთილ-შობილი კაცი და ამისთანა საზიზღარ საქმეში გარეული. მაგრამ ამას გვეუბნება მხოლოდ გამამტყუნებელი ნამდვილად კი ეს ყმაწვილი არის მხოლოდ დონ-ჟუანი, რომელსაც სხვის ლამაზი ცოლი უყვარს, რისთვისაც იუსტიცია საყელოში ხელს არავის ავლებს და თვალებ ახვეულ თემიდას წინაშე არ მიათრევს, თუ, რასაკვირველია, სიყვარული «ხვევნა, კოცნა, მტლაშა-ტლუშს» არ ასცილდება და «уложеніе»-ს რომელიმე მუხლს არ შეაწყდება. ის ქალი ვილა არის, რომელსაც სასამართლოს დარბაზში ვერა ვხედავთ, მაგრამ რომელმაც ულალატა თავის ქმარს, თავის მამჯადოებელ გარეგნობით ამ ყმაწვილსაც «ჯაჭვი დასდო მონებისა» და ამ სამარცხვინო სკამზედ წამოსვა? ჰო, არ გეგონოთ, რომ ეს უმნიშვნელო კითხვა იყოს. ეს საზოგადო ბედია ჩვენის ქალების, ნამეტნავად მალალის წოდებისა და დროა აღვნიშნოთ მაინც, თუ სხვას ვერაფერს გავაწყობთ, ეს სამწუხარო ფაქტი. აგერ წამოიზარდა ერთს ოჯახში ყოვლისფრით მშვენიერი ქალი. რაც ეხლანდელი დროის ქალს შეეფერება, იმდენი განათლებაც მიუღია. თავისივე სისხლის და გვარტომობის ჩამომავალი ყმაწვილი კაცები მრავალნი ეტრფიან და «მონასავით შენი ვარ», ეუბნებიან, მაგრამ არც ერთი იმის წამხდარ გემოვნებისა არ არის. იცით იმ ქალის გემოვნება? აი იმისი ქმარი როგორი რეცეპტით უნდა იყოს შეზავებული: უეჭველად უნდა იყოს ყველაზედ ლამაზი, თავადიშვილი, განათლებული, ზრდილი, მდიდარი და წარჩინებული ჩინოვნიკი. ამ რეცეპტით შეზავებულს ვერავისა ჰპოვებს თავის მეზობლებში, მაგრამ გამოჩნდა საშუბლში ცქერა, ეს უკანასკნელნი კი ამას იყვენ დაჩეჩილნი ბოლოს-ბოლოს ბრაზებს იკრეფენ—!!! ... დასთმობდენ უწინდელ ულუფის დაკარგვას. ამ მხვნელ-მთესველმა გლეხმა მერე სულ სხვა ნაირი მიმართულებაც გამოიჩინა—აღკრძალა არყის ყიდვა ყველა დუქნებში—უპირობდა კრიჭის აკვრას ყლაპიებს, მაგრამ ადვილად არ სთმობს ამ გვარი ხროთავის დამარცხებას—ძვირად დაუსვეს ურჩობა მამასახლისს თავიანთ ბეზღობით, რომელშიაც უფრო დაეარჯიშებული გახლდათ ხსენებული ნამამასახლისარი. ძმამ ამ ახალის მამასახლისისამ მოჰკლა ერთი თათარი ბინებზედ; «ყლაპიებმა» შესწამეს, რომ მკვლელობა ძმისა მამასახლისმა იცოდაო, უნდა გენახათ რა დარაზმული ოცამდის ყაზახით მოადგა მაზრის მოხელეობა ამ მამასახლისის ბინას, როგორ მიიღეს ყველა ჩვენება იქ მყოფ ყლაპიებისა, როგორ თავდაყირა ჰკიდა პრისტავმა მწყემსები, რომ ეთქვეინებინა მამასახლისის გარევა ამ საქმეში—მერე როგორ, ჯერ სცემეს ეს მოხელე, როგორ ფეხით გააგდებინეს ჩაფრებს სიღნაღს და იქ ერთი კვირა დაატუსაღეს, როგორ აგლიჯეს ჯაჭვი და ჩაბარეს კანდიდატს—მაგრამ ფიცხელმა ძიებამ არამც თუ კვალი, სულიც ვერ მიიტანა იმაზე, რომ ამ საქმეში რაიმე დანაშაულობა ჰქონოდა მამასახლისს, მაგრამ რა გამოვიდა! მტრები მაინც გამარჯვებულნი დარჩნენ—რადგან მამასახლისად კანდიდატი ნაკინტოვარი სომეხიზ—შვილი დარჩა--ამან მაშინვე

ში შეიტანს? მაგრამ ფხაკაძე ესეთი სულელი არ გახლავთ და ისევ სისულელესა რჩეობს, ოღონდ კი თავიდან აიცილოს ის სასჯელი, რომელიც თან მოსდევს მაგის გამოაშკარავებულს მოქმედებას. იქვე ფხაკაძე თავ-მოწონებით ამბობს: «ნუ ჰგონია იმ წერილის ავტორს, რომ მეც იმასავით ვიყო, რომელსაც თავის ჩამოსალრჩობად თოკს არავინ ანდობს, ფულის სესხობის მოხერხება არა მქონდესო». ჰო, ეს სრულიადაც არა ჰგონია არც იმ წერილის ავტორს და არც „დროების“ რედაქციას, რომელმაც ავტორის გამოაშკარავება არ ისურვა. «ღმერთმა აღის შნო მისცეს» ბ. ფხაკაძეს და ჩვენ დაჯერებული ვართ, რომ ფულის სესხება—გაცემაში დიდი ნიჭი ეტყობა და, რუსებისა არ იყოს, **далеко пойдетъ**, მაგრამ იმას კი არ დავიჯერებთ, რომ მაგან ფულები ვექსილით ისესხოს და ბანკში მიაბაროს. ეგრე რომ იყოს, ბატონებო, მაშინ ხომ მოჩივარს ექიმი პავლოსკის სამეფოში ფინანსთა მინისტრის პორტფელი ეჭირებოდა! (დარბაზში სიცილია. მდივნებსაც ღიმილი მოსდით.) მე მეტს აღარ მოგახსენებთ; გთხოვთ მხოლოდ ყველა სასჯელიდამ განმათავისუფლოთ და ფხაკაძეს საჩივარი როგორც გნებავთ ისე მოიხმაროთ.

***

აღარ დამცალდა მომესმინა, რა განჩინებას გამოიტანდა სასამართლო, რაღაც ფეხის ხმაურობა შემოესმა და თვალები გავაჭყიტე. თავს დამდგომოდა ერთი ჩვენი რეპორტიორი და რაღაც ქაღალდი მომაწოდა. ეს გადმოღებული პირი იმ თხოვნისა, რომელიც ბ. ფხაკაძეს შეუტანია სინოდის კანტორაში, აი რა სწერია იმაში: «რადგანაც ბაბაშვილის გორაზედ გამსესხებელი კასები გამრავლდა და განათლებამ იკლო, საჭიროა დავარდნილი განათლება განათებით მაინც შევავსოთ. ამისათვის ვთხოვ სინოდის კანტორას წმინდა სანთლის ქარხანა მე ჩამაბაროს».

ხომ განსაცდელს გადავრჩი, მაგრამ როდესაც გამეღვიძა, გული მოუწყდა-ეს სიზმარი სად იყო მეთქი.

***

ესლა ნება მიბოძეთ, მკითხველო, ერთს სასამართლოს დარბაზში შევიდეთ, სადაც, სიზმარში კი არა, ნამდვილად ერთი საინტერესო საქმე ირჩევა. ყველაფრის აღწერას, რაც დარბაზში დაგეხვდება, თავი დავანებოთ, რადგანაც ეს შორს წაგვიყვანს და პირ-და-პირ ბრალდებულთ სკამზედ სხედან სამი ახალგაზდა ქართველი, რომელთაც საშინელი დანაშაულობა ჰბრალდებათ: ბათუმის ახალის დროის ათაბეგის ღამე თავს დაცემა მოკვლისა და გაცარცვის განზრახვით. სამს დამნაშავეში ერთი თათუხის მარცვალივით ერჩევა, როგორც შეხედულობით, ისე თვისა კეთილშობილურის მიხვრა-მოხვრით. ყველაფერი ამტკიცებს, რომ ეს ყმაწვილი არის ერთი ნორჩი შტოთაგანი მრავალ ტოტებიან საქართველოს არისტოკრატიის ხისა. ვაი შერცხვენავ, ვაი ქუდის მოხდავ! ქეთილ-შობილი კაცი და ამისთანა საზიზღარ საქმეში გარეული. მაგრამ ამას გვეუბნება მხოლოდ გამამტყუნებელი

ოქმი; ნამდვილად კი ეს ყმაწვილი

იდგანღაც გადმოგარდნილი, რომელსაც არც ერთი ღირსება არა აქვს ზიზია მუნდირის მეტი და ამას ანაცვალა იმ ქალმა ყველა თავისი მოთაყვანე. სად არის აქ საღი ჭკუა, ლოგიკაო? იკითხავთ თქვენ; მაგრამ ლოგიკა რა საქონელია ეხლანდელ ნესტარ-დარეჯანისათვის! ამ ხილმა მალე კბილები დააჭრა, ჭირივით შესძაგდა და ნესტარ-დარეჯანად დაბადებული ქალი დიაც ფატმან-ხატუნად გადიქცა. ესეთია ბერსის ცოლი ფატი და სხვა მრავალნი იმასთან ერთად იმისი ჯურის ქალები. ვიცი ჩვენი ცრუ განათლებული ქალები ამისთვის ბევრს სიცილს დამაყრიან და რამდენჯერმე წამოიძახებენ: **что за узкій взглядъ!** მაგრამ ქეიფი გასწიონ; რა ბაჟი სძევს ამისთანა სარჩულ გადმობრუნებულ ქალების სიტყვას.

***

თვით ამ სამაგლის დრამის ჭახრაკი, ბ. ბერსი როგორღა მოგწონთ. ჰო, ბევრი რამ ითქმის, თუ თითონ იმ გარუსებულ ნემეცზედ არა, რომელიც რაღაც ზენა ქარს გადმოუგდია ჩვენს სამშობლოში **«на ловлю счастья и чиновъ»** იმის გამო მაინც, მაგრამ... წაიკითხეთ ბერსის ჩვენება? იმის აზრით მთელი ქართველობა სულ სასისხლო სამართალში არის მიცემული და ჩვენ იქამდე სულ გრძელები ვართ, რომ მაგათს ქალებსა ვთხოულობთ, ვენათესავებით და მაგათს ოჯახში შესვლას ვკადრულობთო!

ბერსი ტყუილს არ ამბობს. მე და ჩემმა ღმერთმა!?

დავით სოსლანი.

ჯიშზე დაიწყო ხტუნვა და ხალხმაც ახალი თხოვნა შეადგინეს გუბერნატორთან. უნდოდათ ოჯახიშვილი ვინმე მხვნელ-მთესველთაგანი დაეყენებინათ, მაგრამ ხალხის ყველა ნაირი კანონიერი წადილი გულსაკლავად იმუსერება ხოლმე უკანონო ქცევით ამ მხრის ბოქაულისა, რომელსაც ხალხის ბედ-უბედობა მათრახის წვერზედ უკიდია.—ბაიგო თუ არა, რომ სომეხ მამასახლისს მიცვლიანო, მაშინვე შემოუთვალა მუქარა ხალხსა და მონათლა ისინი «ბუნტოვჩიკებათ», მთელი ორი დღე ყვიროდენ ყლაპიები: «მობძანდება ლელო და მათრახი—ციხე ბევრს მიადგება კარსაო...» მოვიდა მართლა და დაიწიოკა გლეხები, ეს «ლელო» იყო მიზეზი რომ მთელის სილნაღის მაზრიდან თ. დონდუკ-ქორსაკოვს ვერ ვინ მიართო მის აქ გამოვლის დროს ვერც ერთი თხოვნა; ვისაც კი ქალალდს დაუნახავდა, იმავ საათსვე მათრახს უტურტურებდა—თვით ამ კაკაბელებმაც დამზადებული თხოვნა ამის წყალობით უკან დააბრუნეს—თუმც მთავარმმართებელი ისე გულ-მოდგინედ ზედ ამათ დეპუტაციის წინ თხოულობდა ქალალდს და თუმც სხვა მაზრებიდან თხოვნებით დატვირთული გამობრძანდა, საშინელ შიშის კალაპოტში ჰყავს ამ ვაჟ-ბატონს ჩაცვივნული ხალხი; არამც თუ ჩივილს, უბრალო ხმის ამოღებასაც ვერ ვინ კადრულობს აქ. სახლი იმისი ნამდვილი ინკვიზიციური სადგურია, ვისიც დასჯა უნდა დაიბარებს თავის სახლში მიაბამს ბოძზე ან დაჰკიდებს თავ-და-ყირა და მინამ არ მიამკვდარებს თავისიავე ხელით, მინამ შეება არ ექნება უბედურს. აი ეს რამდენიმე კვირაა, რაც ერთმა ზიარულმა კაცმა, ზაქარია ნადაშვილმა საშინლად ნაცემმა ამ მოხელის მიერ, დააღწია ინკვიზაციის კარ-მიდამოს თავი, ამოვარდა იქვე მყოფ მოდალოს სასამართლოში და დაემხო საშინლად ნაცემი მოსამართლეს წინ. რამდენიმე დღის უკან ს. ფხოვლიდან მიმავალი გზაზედ მიხა ჩომახაშვილი დაება ბოძზე და იმდენი სცემა, რომ ჩაფარი შეყრილ ხალხს ეუბნებოდა: მე ვერ დავიჯერებდი, რომ ადამიანიშვილი მაგდენ ცემას აიტანდაო, ჩაფარიც კი გულ-ჩვილობს!

აი ამისთანა კაცმა მოუსპო კანონიერი სურვილი კაკაბელებს და მამასახლისმა რა ფეხი მოიმაგრა, დუქნურად გარანდა საქმე. სილნაღის მაზრის უფროსის განკარგულებით ამ მაზრაში მესამედი სახემწიფო ხარჯისა მაისის გასვლამდის უნდა შეიტანონ ხოლმე, თუმცა სხვა მაზრებში შემოდგომაზე შეაქვთ სულ ერთად, როცა გლეხს კიდევ აბადია რამ. სილნაღის მაზრის უფროსის განკარგულებაც ამ შემთხვევაში არ არის ურიგო, რადგან მდიდრებს რომ ნახევარი მაინც ამ თავით გამოერთოთ, ღარიბები ადრევე შეუდგებიან საკომლოს შოვნის ზრუნვას. ეველა სილნაღის მაზრის სოფელმა იცის ეს ფარგა, იმიტომ რომ მარტო რასაც მდიდრებისაგან მოაგროვებენ, იმას შეიტანენ ხოლმე და მერე მაზრის უფროსს სთხოვენ, რომ დანარჩენი შემოდგომამდის დააცადოს—ესეც უარს არაა ოდეს არ ეუბნება. ქაკაბელმა მედუქნე მამასახლისმა კი სხვა ნაირად ისარგებლა ამ განკარგულებით; კარგად იცოდა რომ მომეტებულ გლეხკაცობას ამ დროს შანა არსად მოეპოვება გინდ თავდაყირა დაჰკიდო და არცა არ გასასყიდი აბადია რამ; იმიტომ ჩაყენა ოთხ დღეს ჩაფრები ქაკაბეთში და მდიდარ ღარიბზე მესამედს თხოულობდა, რომ ქათმები არ იყო ამ ადრე გაზაფხულს კრუხები ახოცვინა და აჭამა, იმის დუქანში გათენებამდის სვამდენ მთელის სოფლის ყლაპიები და ხარჯს სოფელზე სწერდა. მაგრამ ეს არაფერი: გლეხ-კაცობა დაერია მედუქნეებს და ორ მანეთ ნასესხ ფულში ერთ კოდ სარგებელს აძლევდა სამ აბაზად და ოთხ აბაზად კოდი ქერი დაუკვეთეს მათვე. თუმანი სამ აბაზის სარგებელზე ავიდა თვეში, ჩვენიდამ ქირა ქალაქამდე ურმისა თერთმეტ მანეთ ნაკლებ არ არის, მამასახლისის ძმამ მედუქნემ მარტო ხუთი მანეთი ქირა მისცა; საბრალო ქაკაბეთის მოსავალს წელსაც ნახევარზე მედუქნე წაიღებს—თუმცა ხალხი მედგრად იბძვის და არყის გაყიდვის ნებას აღარ აძლევს. ოინებს სოფლის მწერლისას აქ ვერ ჩამოსთვლით: აი შეცდომით წამოუღია გლეხს მეზობლის ჩალა, მხვნელ-მთესველი მსაჯულები სწყვეტენ—ბადალში ბადალი მოუტანოს, მაგრამ სალახანა მწერალი ყვირის—«ეგ უგულონი საქმეაო». მოდი შენ, მკითხველო, იპოვეო აქ ხალხური, იურიდიული ფორმები!

შაქრო.

განცხადებანი

ისყიდება

საყინულე წმინდა ყინულით.

იკითხეთ ქელბერის კანდიტერსკის ქვეშ, პიენოიში, ზუბალოვის სახლში. (2—1)

სურთ მიღება მოსწავლე ქალებისა და შემზადება მეხუთე გიმნაზიის კლასამდისინ ოჯახში სადგომით. ამავე ოჯახში იღებენ სხვა-და-სხვა საკერავებს მცირე ფასით.

ადრესი: ძუთაისში, ბალახვანის ქუჩაზედ საკუთარ ტაიგელის სახლში. 3—1)

იაფად ისყიდება:

საზაფხულო წამოსასხამები 4 მ. 5000 ბროლის სტაქნები 25 კ. თითო. 600 დანა-ჩანგლის დასადები 10 კ, 3000 ოზმა ფოსტის ქალალდი 1 მ. 20 კ. დიდ ძალი ჩაი 1 მოკრეფისა 1 მ. ნამდვილი ფუ-ჩე-ფუ 2 მ. გარვ. და ბროლის გრაფინკები ინგლისის მაღაზიაში. (10—6)

უმაღლეს კურსებზედ.

მოსწავლე ქალი ეძებს ზაფხულის განმავლობაში გაკვეთილებს თბილისში.

ელიზავეტინსკის ქუჩა სახლი № 78. (8—5)

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | |